კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) ცნობილია, როგორც პირველი ომისშემდგომი ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და ქართულ–რუსული სამოქალაქო დიალოგების ინიციატორი და განმახორციელებელი. ამ მიმართულების სულისჩამდგმელი და ინიციატორი, კონფლიქტოლოგიის ცენტრის დამაარსებელი დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ხუციშვილი გახლდათ.

დიალოგების მოკლე ქრონოლოგია

1995 წლის თებერვალში – კონფერენცია მოსკოვში, რომელიც ეხებოდა ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე განვითარებულ ეთნოკონფლიქტებს. ამ კონფერენციის ფარგლებში ქართველ და აფხაზ მონაწილეებს (მანანა გურგულია, რომან დბარი და გიორგი ხუციშვილი) შორის განვითარებულ დიალოგს დაეფუძნა შემდგომი ურთიერთობის პროცესი – დიალოგების მთელი ციკლი.

1996 წლის 18-22 იანვარს შედგა პირველი ქართულ-ოსური შეხვედრა ოსლოში, ნორვეგია, რომელიც ორგანიზებული იყო კონფლიქტების მართვის ჯგუფის (ჰარვარდის მოლაპარაკებათა პროექტი) მიერ, კონფლიქტოლოგიის ცენტრის ხელშეწყობით, და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ფინანსური და საორგანიზაციო მხარდაერით. ამ შეხვედრამ დასაბამი დაუდო პროექტებისა და აქტივობების ციკლს.

1996 წლის 10-12 ივნისს შედგა პირველი ქართულ-აფხაზური შეხვედრა არასამთავრობო დონეზე. შეხვედრა მოსკოვში ჩატარდა ბრიტანული ორგანიზაცია - "საერთაშორისო განგაშის" ხელშეწყობით. ეს შეხვედრა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის მიერ იყო ინიცირებული. მონაწილეთა აზრით, შეხვედრის წარმატება განაპირობა ე.წ. "მესამე მხარის" გარეშე საუბარმა და მხარეთათვის საერთო და მნიშვნელოვნი საკითხების წამოწევამ.

1997 წლის 1-4 ივლისს – ქართულ-აფხაზური შეხვედრა შედგა ერევანში. შეხვედრის თემა სტერეოტიპები იყო. მონაწილეებს მიეცათ მათი წამოწევისა და გააზრებისა საშუალება ქართულ-აფხაზური ურთიერთობის/ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე (რუსეთის იმპერიისა და სსრკ-ს დროს, ომამდე და ომის შემდეგ). შეხვედრის მიზანი იყო, ქართულ და აფხაზურ მხარეებში არსებული სტერეოტიპების არა მხოლოდ წარმოჩენა, არამედ, მათი გადალახვის გზების მოძიებაც. შეხვედრას ფასიტირებას უწევდა დამოუკიდებელი კონსულტანტი ჩრდილოეთ ირლანდიიდან.

1997-1998 წლებში – ცხინვალში შედგა ტრენინგ-სემინარები კონფლიქტების მოგვარების დარგში. ამ შეხვედრების ორგანიზატორი გახლდათ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, ნორვეგიის დევნილთა საბჭოს ხელშეწყობით. ტრენინგ-სემინარებზე აქტიურად განიხილებოდა ყველა აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხი. განხილვა შეჯერებული იყო არსებული მეცნიერული, კონფლიქტოლოგიური ცოდნის გაზიარებით.

1998 წლის 1-4 აპრილს - ქალაქ სოჭში შედგა პირველი შეხვედრა "ქართულ-აფხაზური ნდობის აღდგენის" პროექტის ფარგლებში, რომელიც დააფინანსა ევროსაბჭომ და სადაც, თანაბარ პარტნიორებად იყვნენ წარმოდგენილი: "საერთაშორისო განგაში" (ლონდონი), კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (თბილისი) და "სამოქალაქო ინიციატივა – მომავლის ადამიანი" (სოხუმი). ეს პროექტი ითვალისწინებდა ექვსი შეხვედრის ჩატარებას ქ.სოჭში მონაწილეთა შეხედულებების, იდეებისა და პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით. აგრეთვე, ითვალისწინებდა თანამშრომლობას ერთობლივი და პარალელური პროექტების განხორციელების გზით, მხარეებს შორის ნდობის აღსადგენად.

1998 19-25 ივლისს – ქალაქ ნალჩიკში (ჩრდილო კავკასია) ჩატარდა სემინარი თემაზე: "არასამთავრობო ორგანიზაციების კავკასიური ფორუმის შენება, ძალადობრივი კონფლიქტების თავიდან არიდებასა და მოგვარებაში მათი როლისა და მონაწილეობის გააქტიურების მიზნით". ეს სემინარი წარმოადგენდა სოჭის აპრილის შეხვედრის გაგრძელებას. ფორუმს ხელი უნდა შეეწყო, როგორც კავშირების განვითარებისათვის, ასევე ნდობის შენებისათვის კავკასიის ხალხებს შორის. ექვსდღიანი მუშაობის შემდეგ, კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკის 40-მა წარმომადგენელმა მიაღწია შეთანხმებას პროექტის მიზნებისა და ამოცანების, ასევე, შემდგომი თანამშრომლობის ირგვლივ. მონაწილეებმა მიიღეს ცნობილი "იალბუზის დეკლარაცია". შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციათა ახალი გაერთიანება – "კავკასიური ფორუმი".

2001-2002 წლებში – შეხვედრების ციკლი სოჭში, მოსკოვსა და თბილისში, ბრიტანული ორგანიზაცია "საერთაშორისო განგაშის" და ევროკავშირის პარტნიორობით, განხორციელდა. შეხვედრები მიმდინარეობდა სამი ძირითადი

მიმართულებით - ახალგაზრდების, ქალებისა და ექს-კომბატანტების გააქტიურება მშვიდობისათვის. ეს შეხვედრეგი თანდათან კავკასიურ ფორმატში გადავიდა, თუმცა, პარალელურად მიმდინარეობდა ქართულ და აფხაზურ მხარეებზე.

2007 წლის ივლისში ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის (გერმანია) ორგანიზებით სოხუმსა და გაგრაში ჩატარდა სემინარები კრიზისების დაძლევის მეთოდების შესახებ. სემინარებზე აფხაზეთის საზოგადოების ფართო ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა. ერთ-ერთ ძირითად მომხსენებელად კონფლიქტოლოგიის ცენტრის დირექტორი, პროფესორი გიორგი ხუციშვილი იყო მიწვეული.

2008 წლის შემოდგომიდან განვითარდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობა ქართულ-ოსურ დიალოგში აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების ინსტიტუტის ხელშეწყობით. ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა. პროცესის ერთ-ერთი ინიციატორი და ქართულ მხარეზე მისი კოორდინატორი 2008-2011 წლებში იყო კონფლიცქტოლოგიის ცენტრი.

2008 წლის ნოემბრიდან დაიწყო ქართულ-რუსული დიალოგი, ქართველი და რუსი ექსპერტებისა და ცნობილი მოღვაწეების მონაწილეობით. დიალოგი დღემდე (2018 წ.) გრძელება. დიალოგის ინიციატორი იყო კონფლიქტოლოგიის ცენტრის დირექტორი პროფესორი გიორგი ხუციშვილი. დიალოგს იმთავითვე დაერქვა "სტამბოლის პროცესი", შეხვედრების ჩატარების ადგილის გამო. პროცესი 2008-2012 წლებში მხარდაჭერილი იყო შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის საერთაშორისო ქსელის (GPPAC) მიერ. 2013 წლიდან დიალოგის მხარდამჭერია შვეიცარიის მთავრობა.

2009 წელს – მიმდინარეობდა ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური შეხვედრები კოსოვოში. პროექტი დაფინანსდა ბერგჰოფის მშვიდობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ. ეს იყო სამი შეხვედრა: 1. ორგანიზატორების (გერმანული, ოსური და ქართული მხარეებიდან); 2. ქართულ-აფხაზური; 3. ქართულ-ოსური. სასწავლო ვიზიტები კოსოვოსა და სერბულ ანკლავებში გაიმართა, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. იმავდროულად წარიმართა დიალოგი მხარეთა შორის. შეხვედრების წარმატებულმა ხასიათმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომ პროექტებს.

2010 წლიდან – დაიწყო ქართულ-ოსური და ქართულ აფხაზური შეხვედრების ციკლი, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. დაგეგმილია 4 ქართულ-აფხაზური და 4 ქართულ ოსური შეხვედრა. პროექტის სათაურია: "ჩართულობა დიალოგის მეშვეობით. დიალოგი და სასწავლო ვიზიტი ქართულ–აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმირებისათვის". შეხვედრებს წარმართავს: IKV Pax Christie (ჰოლანდია), ბერგჰოფის მშვიდობის მხარდაჭერის ფონდი (ბერლინი), და, მათთან ერთად – ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების

სააგენტო (ცხინვალი), კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (თბილისი), “სამყარო ძალადობის გარეშე” (სოხუმი). იგი მიზნად ისახავს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გააზრებას, ნდობის შენების შესაძლებლობების გამოცდასა და ამოქმედებას. შეხვედრები მიმდინარეობდა კიშინევსა და ტირასპოლში და შეჯერებულია დიალოგთან, მხარეებს შორის. ამავე დროს, ამ პროექტით გათვალისწინებულია ქსელური მუშაობის განვითარება ადგილებზე და რეგიონში, პარალელურ რეჟიმში.

2016-2018 წლებში მიმდინარეობს ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული დიალოგი - ევროპასთან ასოცირების შეთანხმება - ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების პრევენციის კონტექსტში. დიალოგი ხორციელდება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრისა და მისი პარტნიორის შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის საერთაშორისო ქსელის (GPPAC) მიერ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

კონფლიქტოლოგიის ცენტრი დღეს აგრძელებს კონფლიქტის არაძალადობრივი მოგვარებისთვის დიალოგების ფორმატს და ღიაა თანამშრომლობისათვის.